სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიში

2017 წლის განმავლობაში დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ამოცანები და ფუნქციები არ შეცვლილა. თსუ-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე, ის ხელს უწყობდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციას, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებისა და სტუდენტის სასწავლო პროცესზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწორად ორიენტირების პროცესს; ახდენდა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციას.

დეპარტამენტის შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს შესწავლის შედეგად 2016 წლის დასასრულს შემუშავდა დეპარტამენტის მოკლევადიანი (ერთწლიანი) განვითარების გეგმა. 2017 წლის განმავლობაში დეპარტამენტს უნდა განეხორციელებინა ცვლილება დებულებაში, შესაბამისად, დაეზუსტებინა ამოცანები და ფუნქციები, ასევე მიმდინარე საქმიანობა ხარისხიანად შეესრულებინა.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი დებულებით გათვალისწინებული საქმიანობისგან მკვეთრად ფართო საქმიანობასაც წარმართავდა. ვინაიდან დებულებაში დეპარტამენტის მიერ რეალურად შესრულებული საქმიანობის მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, მიმდინარეობდა მასში ცვლილებებზე მუშაობა. ამჟამად წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინა დეპარტამენტის ახალი დებულება, რომელშიც გათვალისწინებულია უფლება-მოვალეობათა მეტად კონკრეტიზაცია, რაც გამორიცხავს სამომავლოდ სხვადასხვა ტიპის გაურკვევლობას და გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. უფლებამოსილებათა ნაწილი გადანაწილდა შესაბამის ფაკულტეტებზე, ვინაიდან სტუდენტთან შემხებლობა გაცილებით მაღალი ხარისხით ფაკულტეტის დონეზე ხდება. ამით მოხდება კომპეტენციათა გადანაწილება უნივერსიტეტის მასშტაბით.

2017 წლის განმავლობაში თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებდა საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დაკისრებულ მოვალეობებს და თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან და თსუ სხვა დეპარტამენტებთან (იურიდიულ, საფინანსო, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, საგარეო ურთიერთობის, შიდა აუდიტის სამსახური) კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე. დეპარტამენტი რიგ საკითხებზე მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ - საინფორმაციო მართვის სისტემასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და სხვ. უწყებებთან.

დეპარტამენტმა მოამზადა და მიაწოდა ინფორმაცია:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტისათვის „ისწავლე საქართველოში;
- სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამისათვის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს სტაჟირების პროგრამისათვის „დაიწყე კარიერა“;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს პროგრამისათვის - „წარმატებული სტუდენტების წახალისება“ (თსუ წარჩინებული მაგისტრანტების სია);

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარჩინებული სტუდენტების შერჩევის შესახებ (წარჩინებულ სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სოკარის“ სტიპენდიანტობის კანდიდატების შერჩევის შესახებ;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმატებული სტუდენტების შერჩევის შესახებ;
- საგანმანათლებლო პორტალ edu.aris.ge-ს და პერიოდული პრესის გამოცემებს თსუ-ში სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებს საინფორმაციო ბრუშურებისათვის.

დეპარტამენტის თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობდნენ შეეთავაზებინათ სტუდენტების/კურსდამთავრებულებისათვის მათთვის სასურველი მომსახურება. შემოსული განცხადებების ანალიზისა და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე დეპარამენტი ფლობს სრულფასოვან ინფორმაციას მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესახებ. დეპარტამენტმა გააფართოვა სტუდენტების/ კურსდამთავრებულების საკონსულტაციო მუშაობა. დეპარტამენტი ონლაინ რეჟიმში ემსახურებოდა (დეპარატამენტის ოფიციალური ელფოსტის და სოციალური ქსელის მეშვეობით) სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, ხოლო კურსდამთავრებულებს - სხვადასხვა საკითხებზე; პასუხობდა როგორც განყოფილებებში არსებულ ქალაქის ტელეფონებზე, ასევე ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებს. აღსანიშნავია, რომ ცხელი ხაზის გამოყენება სულ უფრო პოპულარული ხდება სტუდენტებში. მათგან ხშირად არის კითხვები როგორც სასწავლო პროცესთან, ასევე ეთიკური გადაცდომის შემთხვევებთან დაკავშირებულ საკითხებზე. დეპარტამენტი უზრუნველყოფდა სტუდენტებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე რჩევის მიღების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობდა ცალკეული პრობლემების ესკალაციის პრევენციას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა ვერ მოახერხა დეპარტამენტის კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. საშტატო განრიგით განსაზღვრული უფროსი სპეციალისტის თანამდებობა დატოვა ორმა თანამშრომელმა, ხოლო ორს - ამოეწურა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა, შესაბამისად, მოხდა გამოთავისუფლებული საშტატო ერთეულის/ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების ფუნქციების გადანაწილება სხვა თანამშრომლებზე. მიგვაჩნია, რომ თსუ-ში დასანერგია თანამშრომელთა შეფასების სისტემა, ასევე მათი საქმიანობის მონიტორინგისა და წახალისების მექანიზმები, რათა თავიდან ავიცილოთ პროფესიული კადრების გადინება.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება 2017 წლის განმავლობაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებდა საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დაკისრებულ მოვალეობებს. თანამშრომლობდა როგორც თსუ-ს შიდა სტრუქტურებთან, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებთან, კერძოდ:

- საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებზე - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტსა და შპს კავკასიის უნივერსიტეტს შორის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების შემუშავებაში მონაწილეობა და რეკომენდაციების შემუშავება;
- თსუ-ს 2018 წლის ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში მონაწილეობა;

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს მიერ ჩატარებულ სემინარებში („სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტების ეფექტური ადმინისტრირება“, მობილობა და სხვ.) მონაწილეობა;
- საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გამართულ განათლების ფორუმში მონაწილეობა.

განყოფილების მიერ მომზადდა საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ბრძანებები: სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ, მობილობისა და შიდა მობილობის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულ სტუდენტთა პირადი საქმის გახსნის შესახებ, მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურზე მიღების მიზნით ტესტირების ვადების განსაზღვრის თაობაზე; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ და სხვ.

განყოფილებამ უზრუნველყო 2017-2018 სასწავლო წლისათვის „სტუდენტების გზამკვლევის“ (საინფორმაციო ბროშურა) შემუშავება, თსუ ვებგვერდისთვის სხვა საცნობარო მასალის მომზადება. მოიძია და დაამუშავა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია მობილობაში/შიდა მობილობაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტთათვის, პირველსემესტრელი ბაკალავრებისათვის, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი აპლიკანტებისათვის. განყოფილება მონაწილეობდა უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში.

დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში განყოფილება მონაწილეობდა თსუ-ს შესამუშავებელი ნორმატიული დოკუმენტების შედგენასა და ექსპერტიზაში:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება№55/2017; 17.05.2017);
2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესი და უცხო ენის ცოდნის განმარტების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 9 ივნისის №49/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება№54/2017; 17.05.2017);
3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განხორციელებულ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ზაფხულის დამატებითი სემესტრის ამოქმედების შესახებ“ (აკად. საბჭოს დადგენილება №72/2017; 15.06.2017);
4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო

პროგრამების ანკეტა–კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (აკად. საბჭოს დადგენილება №152/2017, 08.12.2017);

5. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (აკად. საბჭოს დადგენილება №112/2017, 02.10.2017);

6. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (აკად. საბჭოს დადგენილება №108/2017, 15.09.2017);

7. პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს” ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების დადგენისა და ფაკულტეტებზე სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ (ბრძანება N255/01-01, 06.12.2017).

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებამ შეიმუშავა და მოამზადა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, ბაკალავრებთან, მაგისტრანტებთან, დოქტორანტებთან, რეზიდენტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ პირებთან გასაფორმებელი ახალი ხელშეკრულებები.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებამ 2017 წლის მდგომარეობით განიხილა და რეაგირება მოახდინა **3.401** კორესპონდენციაზე; საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მომზადდა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტის **1344** პროექტი: ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკადემიურ უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატთა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების ფაკულტეტებზე ჩარიცხვის თაობაზე; მობილობისა და შიდა მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის თაობაზე; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე, სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი (შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, დამატებითი სემესტრი), რექტორის მიერ გამოცემულ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ტექნიკური შეცდომის გასწორებისა და ცვლილებების, ასევე სტუდენტების სახელის/გვარის შეცვლის გამო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ (შექმნილ) ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ცვლილების შეტანის თაობაზე; კურსდამთავრებულთა სახელზე დიპლომის გაცემის თაობაზე; საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მიღწეული აღიარებული კრედიტების საფუძველზე სემესტრის განსაზღვრის თაობაზე.

განყოფილებამ მოამზადა **1541 წერილი, 336 ცნობა** სტუდენტის სტატუსის შესახებ (გავლილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების მითითებით, ქართულ-ინგლისურ ენებზე), ცნობად იქნა მიღებული 180 კორესპონდენცია.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა - სტუდენტის პირად საქმეზე კონტროლი, თუმცა აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება. ფაკულტეტებზე სტუდენტების პირადი საქმეების შემოწმებისას გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონაწილე სტუდენტების პირად საქმეში არ აღმოჩნდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული

უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი. ასევე, ფაკულტეტების მიერ არ იყო მოწოდებული წერილები კრედიტების აღიარების თაობაზე რექტორის ბრძანების გამოსაცემად. აღნიშნული ხარვეზი ამჟამად ნაწილობრივ აღმოფხვრილია. ფაკულტეტები უზრუნველყოფენ დოკუმენტების წარმოდგენას. ასევე, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების პირადი საქმეების გადამოწმებისას არ აღმოჩნდა წინა საფეხურის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის დამოწმებული ასლები (თუმცა წარმოდგენილია ცნობები კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე). ჩვენ მიერ ფაკულტეტებს დაევალათ აღნიშნული ხარვეზების გონივრულ ვადაში, გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე, გამოსწორება.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილება თსუ-ში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელ - ENIC/NARIC-თან, უცხოეთის ქვეყნების სტრატეგიული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სააგენტოებთან და ნაციონალურ ცენტრებთან, სხვადასხვა უნივერსიტეტების საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებებთან, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურასთან.

განყოფილებამ 2017 წელს რეაგირება მოახდინა **3245 კორესპოდენციაზე (3153 - ელექტრონული, 145-ქაღალდური).** მომზადდა საპასუხო წერილები, ხოლო კორესპონდენციის ნაწილზე გამოცემულია რექტორის ბრძანებები **(355 პროექტი)**: დიპლომისა და დიპლომის დანართის დუბლიკატის გაცემასთან, დიპლომისა და დიპლომის დანართის შესწორებასთან (ტექნიკური ხარვეზის არსებობისას), დოკუმენტების ნამდვილობასთან, კურსდამთავრებულთა პირად მონაცემებში ცვლილებების დროს უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (შექმნილი) დოკუმენტების გასწორებასთან, კურსდამთავრებულთა პირად საქმეში სრულყოფილი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში წარმოების ჩატარებისა და დოკუმენტების შექმნასთან, ასევე კანონმდებლობის შესაბამისად განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

<u>**განყოფილებამ უზრუნველყო:**</u>

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის - მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის - შემუშავება და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სატენდერო წინადადებების მომზადება დიპლომების, მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის ფორმებისა და დიპლომების ყდების დამზადებასთან დაკავშირებით.
- საფინანსო დეპარტამენტისათვის კვარტალურად ინფორმაციის მიწოდება დიპლომების ფორმების შემოტანის და ხარჯვის შესახებ.
- თსუ კურსდამთვრებულების, თსუ ყოფილი ფილიალების, შემოერთებული უნივერსიტეტებისა და მათი ყოფილი ფილიალების კურსდამთავრებულთა პრობლემური პირადი საქმეების სრულყოფა.
- ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი 4800 დიპლომის დანართის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.
- 2017–2018 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების, უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების, მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა, მობილობით გადმოსული სტუდენტების ხელშეკრულებები (9100 ცალი) რექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით.

- ვაჟი სტუდენტების აღრიცხვა და ფორმა №26–ის მომზადება:2017 წელს დამზადდა 1961 ცალი ფორმა №26. ფორმა №26 გადაეგზავნა შესაბამისი რაიონების ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებს და ასევე გაიცა ხელზე.
- სტუდბილეთის დამზადება გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის - 35 ცალი;
- შეცვლილი დიპლომებისა და დიპლომის დუბლიკატის ასლების თანდართული დოკუმენტებით მომზადება და არქივისათვის გადაცემა - 312 ცალი;
- 2009-2010, 2010-2011, 2011-2012 წლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმისთვის დიპლომის ასლის დამზადება - 1300 ცალი.
- საუტილიზაციოდ მოამზადა და გაანადგურა 2005 წლამდე გაცემული გამოსაყენებლად უვარგისი 650 ცალი დიპლომის ფორმა.
- ***<u>კურსდამთავრებულთათვის:</u>***

✓ დიპლომის დამზადება – 4546 ცალი;
✓ დიპლომის დუბლიკატის დამზადება –133 ცალი;
✓ დიპლომის შეცვალა- 216 ცალი;
✓ დიპლომის დანართის შეცვალა- 280 ცალი;
✓ კურსმოსმენილის მოწმობის დამზადება - 13 ცალი;
✓ რეზიდენტურის მოწმობის დამზადება - 2 ცალი;
✓ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის მეორადი სწავლების სერტიფიკატის დამზადება – 5 ცალი;
✓ პედაგოგიკის სერტიფიკატის დამზადება - 3 ცალი;
✓ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატის დამზადება – 228 ცალი;
✓ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატის დუბლიკატის დამზადება - 8 ცალი
✓ სხვადასხვა სახის ცნობის დამზადება – 720 ცალი;
✓ დიპლომის, დიპლომის დანართისა და ცნობის ასლების დამოწმება და თსუ კონვერტით გაცემა - 520 ცალი.

- უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის, უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართებისა და ცნობების *<u>ნამდვილობის დადასტურების მიზნით კორესპონდენციის დამზადება და გაგზავნა:</u>*

✓ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში – 715 კორესპონდენცია;
✓ სხვადასხვა დაწესებულებებში - 70 კორესპონდენცია;
✓ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებში – 20 კორესპონდენცია;
✓ სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებში – 80 კორესპონდენცია;

- მოქალაქეებს გაეგზავნათ - 120 კორესპონდენცია;
- თსუ არქივში და ფაკულტეტებზე გაიგზავნა – 1770 შუალედური კორესპონდენცია;
- თსუ-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულებში გაიგზავნა – 772 შუალედური კორესპონდენცია.
- დეპარტამენტის ელექტრონულ ფოსტაში შემოსულ წერილებს პასუხი გაეცა ელექტრონულად - 45 კორესპოდენცია.
- *<u>განყოფილებაში არსებული მასალის დაარქივება და არქივისათვის გადაცემა:</u>*

✓ 2012 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომი - 195 ცალი და დიპლომის დანართი - 190 ცალი;
✓ 2012 წელს დამზადებული დიპლომის დუბლიკატი და შეცვლილი დიპლომი - 36 ცალი;

✓ 2012 წლის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატი - 6 ცალი;
✓ 2012 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი - 3 ცალი;
✓ 2012 წელს დამზადებული დიპლომის დანართი - 17 ცალი;
✓ 2012 წელს დამზადებული დიპლომების დუბლიკატებისა და შეცვლილი დიპლომების, დიპლომების დანართების, სერტიფიკატებისა და მოწმობების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი - 1 ცალი;
✓ 2013 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომი - 236 ცალი და დიპლომის დანართი - 235 ცალი;
✓ 2013 წელს დამზადებული დიპლომის დუბლიკატი და შეცვლილი დიპლომი - 34 ცალი;
✓ 2013 წლის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატი - 2 ცალი;
✓ ხელოვნებისა და ჰუმანიტრულ პროფესიათა ფაკულტეტის მეორადი სწავლების სერტიფიკატი - 2 ცალი;
✓ 2013 წელს დამზადებული მოწმობა - 1 ცალი;
✓ 2013 წელს დამზადებული დიპლომის დანართი - 17 ცალი;
✓ 2013 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი - 3 ცალი;
✓ 2013 წელს დამზადებული დიპლომების დუბლიკატებისა და შეცვლილი დიპლომების, დიპლომების დანართების, სერტიფიკატებისა და მოწმობების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი - 1ცალი.

თსუ-ში სასწავლო პროცესის მართვა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სასწავლო პროცესის მართვის სისტემების (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) ეფექტურ მუშაობაზე, ამიტომ **სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება** თსუ-ს სხვა სტრუქტურებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. იმისათვის, რომ სისტემა (sms.tsu.ge) იყოს ბევრად მოქნილი, მოხერხებული და მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების და სხვა მომხმარებლების მოთხოვნებს, აუცილებელია ან არსებულის დახვეწა, ან lms.tsu.ge-ით დროულად ჩანაცვლება (რომელიც გარკვეულწილად ასევე ცვლილებებს მოითხოვს). ასევე მნიშვნელოვანია შიდა სამართლებრივი დოკუმენტის - სასწავლო პროცესის მართვის სისტემის წარმოების წესი - შემუშავება.

სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება საგანმანათლებლო რეესტრის წარმოების მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ - საინფორმაციო მართვის სისტემასთან და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან.

2017 წელს განყოფილებაში დამუშავდა 424 კორესპონდენცია და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე მომზადდა წერილები.

განყოფილებამ განახორციელა 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრსა და 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა-განახლება როგორც საგანმანათლებლო რეესტში, ასევე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაშიც.

განყოფილებამ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დააფიქსირა 2017 წელს უნივერსიტეტში ჩარიცხული 6157 სტუდენტის (3637 ბაკალავრი, 317 - ერთსაფეხურიანი სამედიცინო, 1492 მაგისტრანტი, 367 დოქტორანტი, 298 - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, 46 - მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე) სტატუსი და ასახა ჩარიცხვის თაობაზე გამოცემული

რექტორის ბრძანებები. იგივე პროცედურა განხორციელდა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტზე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (sms.tsu.ge, lms.tsu.ge).

<u>სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილებამ უზრუნველყო:</u>

- 1400-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაფიქსირება როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ასევე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- თსუ-ში მობილობის წესით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხული 557 სტუდენტის შესახებ ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- თსუ-ში მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხული 1492 სტუდენტის და დოქტორანტურაში ჩარიცხული 367 სტუდენტის და და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული 46 პირის შესახებ დოკუმენტაციის მომზადება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დასამატებლად.
- თსუ-ში ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხული 205 (176 - ბაკალავრი, 29 - მაგისტრანტი) სტუდენტის შესახებ დოკუმენტაციის მომზადება და ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ასევე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ინფორმაციის ასახვა 426 სტუდენტის თაობაზე, რომელთაც შიდა მობილობის წესით შეიცვალეს პროგრამა. იგივე ინფორმაცია აისახა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- თსუ-დან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული 896 (2016-2017 ს/წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ-დან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადავიდა 340 სტუდენტი, 2017-2018 ს/წლის შემოდგომის სემესტრში - 556 სტუდენტი) სტუდენტის თაობაზე ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
- 760 დიპლომისა და 400 დიპლომის დანართის დასკანერება და საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ატვირთვა;
- 2800 დიპლომისა და დიპლომის დანართის დასკანერება და ატვირთვა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (lms.tsu.ge);
- 1400-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასკანერება და ატვირთვა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (sms.tsu.ge);
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემთა ბაზის შევსებისა და კორექტირების მიზნით 50-მდე სტუდენტის თაობაზე დოკუმენტაციის მოძიება და გაგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ასევე შესაბამისი ელექტრონული წერილების გაგზავნა;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადმოგზავნილ 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების მქონე სტუდენტთა სახელობით სიაში უზუსტობების აღმოჩენა მისი კორექტირების მიზნით;
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების მიხედვით სპეციალური კითხვარების შევსება - ვაკანსიების განსაზღვრა ცალკეული პროგრამების მიხედვით, სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება აქტიური, შეჩერებული, შეწყვეტილი, მობილობით გადასული სტუდენტების რაოდენობების შესახებ და ა.შ.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების რეგისტრაცია და პროფესიული კოლეჯების მართვის სისტემაში ინფორმაციის შეტანა თსუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 188 პროფესიული სტუდენტის შესახებ;

- შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურისათვის კურსდამთავრებულთა დიპლომის ნამდვილობის შესახებ და სტუდენტების სწავლის ფაქტის დადასტურების შესახებ 170 ცნობის დამზადება.
- სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემების დამუშავება როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის, ასევე ფიზიკური პირებისათვის, სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ არასამთავრობო დაწესებულებებისათვის მიწოდება:

✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურისათვის - 2017 წლის სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარები - „მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ“ და „მონაცემები დოქტორანტების მომზადების შესახებ“;

✓ საქართველოს სხავადასხვა ქალაქების მუნიციპალიტეტებისათვის სამხედრო აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და გაწვევის ორგანიზებულად წარმართვისათვის - ინფორმაცია ვაჟი სტუდენტების სტატუსის შესახებ და სხვ.;

✓ მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სხვადასხვა საერთაშორისო სისტემებში მონაწილეობის მისაღებად - სტატისტიკური ინფორმაცია როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულთა რაოდენობების შესახებ (დარგების შესაბამისად).

საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ კონკურენტულ გარემოში უნივერსიტეტის წარმატების უზრუნველსაყოფად და დაკისრებული მოვალეობების მაღალ დონეზე შესასრულებად სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისათვის 2018 წელს მოკლევადიანი განვითარების (ერთწლიანი) გეგმის ეტაპზე მნიშვნელოვანია:

✓ საქმიანობის წარმართვა დეპარტამენტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების საფუძველზე;

✓ დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში თსუ ავტორიზაციის პროცესისათვის მზადების პროცესში აქტიური მონაწილეობა;

✓ დეპარტამენტის მომსახურებების გაუმჯობესება - სტუდენტების/კურსდმათავრებულებისათვის საკონსულტაციო მომსახურების დახვეწა, რათა სამომავლოდ თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა ტიპის ხარვეზები.

✓ მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა და განვითარება - მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით დარღვევების/ხარვეზების დროული აღმოჩენა და ამ კუთხით წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი კონტროლის მექანიზმის დანერგვა. აღმოჩენილი ხარვეზების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

✓ მიმდინარე საქმიანობის ხარისხიანად და ეფექტურად შესრულება;

✓ დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება;

✓ დასაქმებულთა საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა.